

## აპლიკანტის (პროფესიული განათლების მიღების მსურველი პირის) გზამკვლევი:

### ტერმინთა განმარტება

1. **პროფესიული სტუდენტი** - პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირი
2. **გარდამავალი (მომლოდინე) პროფესიული სტუდენტი** - პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურენოვანი ტესტირების შედეგების საფუძველზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტი, რომელმაც დაძლია ქართული ენის მოდული/მოდულები
3. **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა** - საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც ორიენტირებულია პრაქტიკული ცოდნისა და უნარების გამომუშავებაზე და სრულდება შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებით. პროგრამა აერთიანებს პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად საჭირო სასწავლო კურსებს/მოდულებს. პროგრამით განისაზღვრება პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, პროფესიული სტუდენტის დატვირთვა კრედიტებში, სწავლების მეთოდები და შეფასების ფორმები;
4. **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი** - დოკუმენტი, რომლითაც განისაზღვრება შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად საჭირო კრედიტების მოცულობა, მისაღწევი სწავლის შედეგები, იმ მოდულების ერთობლიობა, რომელთა სწავლის შედეგების მიღწევა აუცილებელია პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად, აგრეთვე შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების და პროგრამის განხორციელების წინაპირობები, შესარჩევი სწავლების მეთოდებისა და შეფასების სისტემის ალტერნატიული ჩამონათვალი;
5. **საგნობრივი პროგრამა-პროფესიული სტანდარტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;**
6. **მოდულური პროგრამა** - ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
7. **დუალური პროგრამა**- ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული 50% -ზე მეტი სწავლის შედეგები რეალურ სამუშაო გარემოში მიიღწევა.
8. **პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება** - სასწავლო უნივერსიტეტსა და პროფესიული სტუდენტის უფლება-მოვალეობების შესრულებისაგან დროებით გათავისუფლება, სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის გარეშე;
9. **პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა** - სტუდენტის უფლება-მოვალეობების შესრულებისაგან გათავისუფლება პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის უფლების გარეშე;
10. **გარე მობილობა** - პროფესიული სტუდენტის, ერთი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის შემთხვევა.
11. **შიდა მობილობა** - პროფესიული სტუდენტის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ერთი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამიდან ამავე

დაწესებულებაში სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე გადასვლის შემთხვევა;

12. **ინკლუზიური განათლება** - სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის ჩართვა საგანმანათლებლო პროცესში;
13. **მოკლევადიანი პროგრამა/კურსი**- მოკლევადიანი პროგრამა, რომელსაც თან არ ახლავს კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემა;
14. **მსმენელი** - ტრენინგ- კურსზე ჩარიცხული პირი;
15. **სერთიფიკატი** - მოკლევადიანი პროგრამის/კურსის გავლის დამადასტურებელი დოკუმენტი;
16. ტერმინებს, რომლებიც ამ წესით არ არის განმარტებული აქვთ მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული მნიშვნელობა.

### **პროფესიული განათლების მიღების უფლება**

1. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული განათლების მიღების საფუძველს წარმოადგენს, პროფესიული ტესტირების დებულების შესაბამისად, ორგანიზებულ ტესტირებაში (პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველად საფეხურზე სსიპ – შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის (შემდგომში „ცენტრი“) მიერ ორგანიზებული ტესტირება, შემდგომ საფეხურზე - სასწავლო უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული ტესტირება) მონაწილეობა და შესაბამისი შედეგის მიღება.

2. ცენტრის მიერ ორგანიზებულ ტესტირებაში მონაწილეობის უფლება აქვს აპლიკანტს, რომელსაც აქვს საქართველოში გაცემული ან მასთან გათანაბრებული საბაზო/სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი და აკმაყოფილებს შესაბამისი პროფესიული სტანდარტით/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით პროფესიის სპეციფიკიდან გამომდინარე დადგენილ დამატებით მოთხოვნებს.

3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემდგომი საფეხურის ტესტირებაში მონაწილეობის უფლება აქვს აპლიკანტს, რომელსაც აქვს წინა საფეხურის კვალიფიკაციის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

4. სასწავლო უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული (შემდგომი საფეხური) პროფესიული ტესტირების ფორმა და შინაარსი განისაზღვრება რექტორის მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით.

5. სასწავლო უნივერსიტეტის მიერ განხორციელებულ მოკლევადიან კურსებზე/პროგრამებზე ჩარიცხვის შესაძლებლობა ნებისმიერ პირს, თუ პროგრამით არ არის განსაზღვრული ბენეფიციართა სტატუსი.

6. მოკლევადიანი კურსების/პროგრამების განხორციელების მიზნით, საჭიროების შემთხვევაში, გამოიცემა ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი მისი განხორციელების წესის შესახებ.

### **პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღების გამოცხადება, აპლიკანტთა რეგისტრაცია/კონსულტაცია.**

1. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღების გამოცხადება და აპლიკანტთა რეგისტრაცია/კონსულტაცია რეგულირდება

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების“ შესაბამისად.

2. სასწავლო უნივერსიტეტში უფლებამოსილი ორგანოს მიერ განისაზღვრება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პირველად და შემდგომ საფეხურებზე აპლიკანტთა მისაღები ადგილების რაოდენობა (მათ შორის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთათვის) სასწავლო უნივერსიტეტში პროფესიული სტუდენტების საერთო კვოტისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული მოდულური/დუალური პროგრამებისათვის განსაზღვრული კვოტის გათვალისწინებით.

3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პირველად საფეხურებზე პროფესიული ტესტირების ორგანიზება ხდება შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ, ხოლო შემდგომ საფეხურზე -სასწავლო უნივერსიტეტის მიერ.

4. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების პირველად/შემდგომ საფეხურებზე მიღება ცხადდება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში ელექტრონული ფორმით.

5. რეგისტრაციის გავლა შესაძლებელია მხოლოდ პირადობის მოწმობით როგორც საქართველოს მასშტაბით არსებულ საინფორმაციო და რესურსცენტრებში, ასევე სასწავლო უნივერსიტეტში.

6. პირველად/შემდგომ საფეხურებზე აპლიკანტთა რეგისტრაციას (მათ შორის სსსმ პირთათვის) უზრუნველყოფს პროფესიული განათლების განვითარების სამსახური, რომელიც კონსულტაციის/პროფორიენტაციის მიზნით აპლიკანტს აწვდის ინფორმაციას სასწავლო უნივერსიტეტის მიერ შემოთავაზებული პროფესიული პროგრამებისა და პროფესიული ტესტირების პროცედურების შესახებ.

7. იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველად საფეხურზე ჩარიცხვისთვის, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში აპლიკანტი ვალდებულია გაიაროს სასწავლო უნივერსიტეტის მიერ დადგენილი კონკურსი „აპლიკანტთა კონკურსის წესით შერჩევის დებულების“ შესაბამისად. კონკურსის შედეგები პროფესიული ტესტირების დაწყებამდე არანაკლებ 10 დღით ადრე ეგზავნება შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრს ელექტრონული ფორმით, რომელშიც გათვალისწინებულია:

ა) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველადი საფეხურის საიდენტიფიკაციო კოდი;

ბ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველადი საფეხურის დასახელება და ინფორმაცია მისი განხორციელების თავისებურების შესახებ;

გ) აპლიკანტის პირადი ნომერი, სახელი, გვარი;

დ) კონკურსზე მიღებული ქულა;

ე) ცენტრის მიერ მოთხოვნილი სხვა ინფორმაცია.

## პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პირველად/შემდგომ საფეხურებზე პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვა.

1. რეგისტრაციის დასრულების შემდეგ, პროფესიული განათლების დამწყებმა აპლიკანტმა უნდა გაიაროს გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული პროფესიული ტესტირება. ტესტირების შედეგების მიხედვით ჩარიცხვის ბარიერი არ არსებობს იმ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელზეც არ დგება კონკურსი. სახელმწიფო დაფინანსებით უფასო განათლების მიღების შესაძლებლობა კი ექნებათ იმ აპლიკანტებს, რომლებიც ტესტირებისას გადალახავენ მინიმალური კომპეტენციის ზღვარს და მოიპოვებენ ჩასარიცხი აპლიკანტის სტატუსს.

2. პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვა რეგულირდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული „ პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების“ შესაბამისად.

3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომ საფეხურზე პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვება ხდება შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების (საგნობრივი) შემდგომ საფეხურზე გადასასვლელი ტესტირების ჩატარებისა და აპლიკანტთა ჩარიცხვის წესის“ შესაბამისად.

4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პირველად საფეხურზე პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების საფუძველია შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ პირველად საფეხურზე აპლიკანტთა განაწილების მიზნით შექმნილი რანჟირების დოკუმენტი და პროფესიის სპეციფიკიდან გამომდინარე, პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული დამატებითი მოთხოვნების დაკმაყოფილება.

5. იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველად საფეხურზე ჩარიცხვისთვის რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში კონკურსის წესით შერჩეულმა აპლიკანტებმა მონაწილეობა უნდა მიიღონ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებულ პროფესიულ ტესტირებაში. აპლიკანტის ჩარიცხვა განხორციელდება მხოლოდ კონკურსის შედეგების გათვალისწინებით სასწავლო უნივერსიტეტის „აპლიკანტთა კონკურსის წესით შერჩევის დებულების“ შესაბამისად.

6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პირველად/შემდგომ საფეხურებზე პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვა ხორციელდება სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით.

7. აპლიკანტებმა ჩარიცხვისათვის სასწავლო უნივერსიტეტში უნდა წარმოადგინონ დოკუმენტაცია:

ა) სრულწლოვანი აპლიკანტებისთვის:

- საბაზო/სრული ზოგადი განათლების დამლევის დამადასტურებელი დოკუმენტის/უმაღლესი განათლების დიპლომის ნოტარიალურად დამოწმებული ასლი

- ფოტოსურათი 3X4 ზე 2 ცალი,

- პირადობის მოწმობის /პასპორტის ასლი.

- დევნილის / სოციალურად დაუცველის მოწმობის არსებობის შემთხვევაში.

- პროფესიის სპეციფიკიდან გამომდინარე, პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული დამატებითი მოთხოვნების დამადასტურებელი დოკუმენტი.

ბ) არასრულწლოვანი/ქმედუუნარო/შეზღუდულქმედუანირიანი აპლიკანტებისთვის:

- საბაზო განათლების დამლევის დამადასტურებელი დოკუმენტის ნოტარიალურად დამოწმებული ასლი

- ფოტოსურათი 3X4 ზე 2 ცალი

- პირადობის მოწმობის /პასპორტის ასლი

- დაბადების მოწმობის ასლი.

- მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის პირადობის მოწმობის /პასპორტის ასლი. კანონიერი წარმომადგენლობის შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი.

- დევნილის/ სოციალურად დაუცველის მოწმობის არსებობის შემთხვევაში.

- პროფესიის სპეციფიკიდან გამომდინარე, პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული დამატებითი მოთხოვნების დამადასტურებელი დოკუმენტი.

8. აპლიკანტი, რომელსაც განათლება მიღებული აქვს უცხოეთში/საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე, სხვა ჩამონათვალთან ერთად ვალდებულია სასწავლო უნივერსიტეტს წარმოუდგინოს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად გაცემული მიღებული განათლების აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტი/ატესტატი.

9. სასწავლო უნივერსიტეტსა და პროფესიულ სტუდენტს შორის ფორმდება სასწავლო ხელშეკრულება (არასრულწლოვანი/ქმედუუნარო/შეზღუდულქმედუანირიანი პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში - პროფესიული სტუდენტის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის);

10. სასწავლო უნივერსიტეტის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების სტატუსი რეესტრის წარმოებაზე პასუხისმგებელი პირის მიერ აქტის გამოცემიდან 5 დღის ვადაში აისახება შესაბამის რეესტრში.

### **სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტის ჩარიცხვა**

1. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთა პროფესიულ ტესტირებაში მონაწილეობის მიღების უფლება აპლიკანტს აქვს ექსპერტთა გუნდის დასკვნის საფუძველზე.

2. სსსმ აპლიკანტის პროფესიულ ტესტირებაში რეგისტრაცია და მონაწილეობა რეგულირდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების“ შესაბამისად.

3. სსსმ აპლიკანტის ტესტირება მოიცავს მათ მიერ შერჩეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველადი/შემდგომი საფეხურის შესატყვისი აქტივობების პრაქტიკულ მოსინჯვას.

4. პრაქტიკული მოსინჯვის განხორციელების მიზნით სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ქმნის კომისიას, რომელიც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტს უწევს კონსულტაციას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შერჩევაში.

5. რეგისტრაციის შემდეგ სსსმ აპლიკანტი ვალდებულია სასწავლო უნივერსიტეტს წარუდგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) ექსპერტთა გუნდის დასკვნა, რომლითაც დასტურდება სსსმ აპლიკანტის სპეციალური/დამატებითი საგანმანათლებლო საჭიროება, დამოწმებული ექსპერტთა გუნდის მინიმუმ სამი წევრის ხელმოწერით;

ბ) ინდივიდუალური სასწავლო გეგმა (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომლითაც სსსმ აპლიკანტი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლობდა ცალკეულ კლასში/სემესტრში ან საფეხურის ბოლო კლასში, დამოწმებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმის სამუშაო ჯგუფის ან/და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორის ხელმოწერებით;

გ) სენსორული (სმენის და მხედველობის) დარღვევის შემთხვევაში:

გ.ა) აუდიოგრამა (სმენის დარღვევისას);

გ.ბ) ოფთალმოლოგის მიერ გაცემული ცნობა (მხედველობის დარღვევისას);

დ) შესაბამისი სპეციალისტის მიერ გაცემულ სამედიცინო ცნობა, ქცევითი და ემოციური აშლილობისას;

ე) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის დამადასტურებელ დოკუმენტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

6. ტესტირების (პრაქტიკული მოსინჯვის) საფუძველზე სსსმ აპლიკანტის შეფასების წესი რეგულირდება დებულებით. შეფასების შემდგომ სსსმ აპლიკანტთა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პირველად/ შემდგომ საფეხურებზე გადანაწილება ხდება განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე.

7. იმ შემთხვევაში, თუ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველად/შემდგომ საფეხურზე დარეგისტრირებული აპლიკანტების რაოდენობა აღემატება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველადი/შემდგომი საფეხურისათვის სასწავლო უნივერსიტეტის მიერ გათვალისწინებული ადგილების რაოდენობას, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველად ან შემდგომ საფეხურზე ჩარიცხვის შესახებ რეკომენდაციის შემუშავებისას კომისია მხედველობაში იღებს აპლიკანტის რეგისტრაციის დროს (თვე, რიცხვი, საათი, წუთი).

8. სსსმ აპლიკანტის ჩარიცხვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველად/შემდგომ საფეხურზე ხორციელდება განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების საფუძველზე სასწავლო უნივერსიტეტის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

9. ჩარიცხვის შემდეგ ფორმდება სასწავლო ხელშეკრულება სასწავლო უნივერსიტეტსა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიულ სტუდენტს შორის (ხოლო იმ შემთხვევაში თუ აპლიკანტი არასრულწლოვანია, ქმედუუნაროა/შეზღუდულ ქმედუუნარიანია მის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან).

10. სასწავლო უნივერსიტეტის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების სტატუსი რეესტრის წარმოებაზე პასუხისმგებელი პირის მიერ აქტის გამოცემიდან 5 დღის ვადაში აისახება შესაბამის რეესტრში.

**პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურენოვანი ტესტირების შედეგების საფუძველზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების მიერ სწავლის გაგრძელება**

1. სასწავლო უნივერსიტეტის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მე-4 და მე-5 საფეხურზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისთვის: „მოდულების, ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის ბრძანება №152/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ტესტირების გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით.“

2. სასწავლო უნივერსიტეტის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მე-3 საფეხურზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისთვის: „მოდულის, ქართული ენა A2 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის ბრძანება №152/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ტესტირების გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულით.“

3. „ქართული ენის“ მოდულის/მოდულების დამღვეის შემთხვევაში პროფესიული სტუდენტი სარგებლობს გარდამავალი (მომლოდინე) პროფესიული სტუდენტის სტატუსით და ის უფლებამოსილია:

ა) სწავლა განაგრძოს იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელზეც განხორციელდა მისი ჩარიცხვა. ამ შემთხვევაში, მას პროფესიული სტუდენტის სტატუსი გაუაქტიურდება შემდგომი ტესტირების ფარგლებში ამავე პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების მიერ სწავლის დაწყებისთანავე;

ბ) ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში ისარგებლოს შიდა/გარე მობილობით.

გ) შეინარჩუნოს მის მიერ მოპოვებული სამართლებრივი მდგომარეობა.

4. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, გარდამავალი (მომლოდინე) პროფესიული სტუდენტის სტატუსის მქონე პროფესიული სტუდენტების რაოდენობა არ აკლდება დაწესებულების პროფესიულ სტუდენტთა მომდევნო მიღებისათვის დადგენილ მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობას.

5. პროფესიული სტუდენტის მიერ „ქართული ენის“ მოდულის/მოდულების სწავლის შედეგების დაუძლეველობის შემთხვევაში, პირს უწყდება პროფესიული სტუდენტის სტატუსი.

## პროფესიული სტუდენტის სწავლის საფასური

სწავლის საფასურის მაქსიმალური ოდენობა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამის პროფესიულ სპეციალიზაციებზე განისაზღვრება:

ა) საქართველოს მთავრობის დადგენილების შესაბამისად ვაუჩერული დაფინანსების მქონე პროფესიული სტუდენტებისთვის;

ბ) შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მართვის ორგანოების გადაწყვეტილებების შესაბამისად ფასიან სექტორზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისთვის.